

პაატა ზაქარეიშვილი: ეს არ არის არც პირველი და იმედია, არც უკანასკნელი მოთხოვნა ჩემი გადაყენების შესახებ, ეს მე მამლიერებს

პაატა ზაქარეიშვილის გადაყენების მოთხოვნით, საპროტესტო აქციები იმართება. ოპოზიცია შესაბამის უწყებებს ურჩევს, გამოიძიონ სახელმწიფო მინისტრის კავშირები სპეცსამსახურებთან. ზაქარეიშვილი გადადგომას არ აპირებს და აცხადებს, რომ მსგავსი მოთხოვნა მას მხოლოდ და მხოლოდ აძლიერებს. რუსეთ-აფხაზეთის შორის დადებული ხელშეკრულების გამო ატეხილ აჟიოტაჟს კი გაზვიადებულს უწოდებს და აცხადებს, რომ მთავარი 2008 წლის 17 სექტემბერს დადებული ხელშეკრულებაა, რომლის გაფორმებასაც თავის დროზე, ნაციონალების ხელისუფლების წევრების მხრიდან არანაირი პროტესტი და განცხადებები არ მოჰყოლია.

პაატა ზაქარეიშვილი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო მინისტრი:

-თქვენ განაცხადეთ, რომ პანიკაში ჩავარდნა არ ღირს და უმჯობესია, შედეგებს დაველოდოთ. ხომ არ ფიქრობთ, რომ მაშინ როდესაც შედეგები დადგება, დაგვიანებული იქნება რაიმე ტიპის ქმედებისთვის?

- შედეგი უკვე დადგა 2008 წლის აგვისტოში და ეს შედეგი დღემდე გრძელდება. თუ ვინმე ფიქრობს, რომ კიდევ შეიძლება რაიმე კატასტროფული შედეგი დადგეს, როგორც ჩანს, მას ძალიან ღრმად სძინავს. დღეს ახალი ხდება ის, რომ აფხაზეთმა გამოიღვიძეს, ეს არის დღევანდელი დღის მთავარი მომენტი. რუსეთმა 2008 წელს დასაჯა საქართველო ნატოსკენ მიმავალი გზის გამო. მაშინ რუსეთმა საქართველოს ხელისუფლება პროვოკაციაში ჩაითრია და, სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლებაც აჰყვა ამ პროვოკაციას. ამის შემდეგ რუსეთი კიდევ ცდილობდა, საქართველო დაესაჯა, მაგრამ არ გამოუვიდა. უელსის სამიტმა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამ ცალსახად აჩვენა, რომ საქართველოზე ზემოქმედება არ გამოდის, ამიტომ რუსეთმა დაიწყო იმის გადარჩენა, რის გადარჩენაც, მისი აზრით, ჯერ კიდევ შეუძლია: ის უკვე ცდილობს, მიითვისოს აფხაზეთი აფხაზეთის ხელით, ისევე როგორც მიითვისა ყირიმი. მაგრამ ეს არ გამოუვა. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთსა და ყირიმს ერთმანეთს ადარებენ, ყირიმი სულ სხვაა. ერთი საკითხია, როგორ უყურებს რუსეთი ყირიმს და აფხაზეთს და მეორეა, როგორია რეალობა. რუსეთი ახლა ცდილობს, ძალიან ვერაგული

ნაბიჯი გადადგას. ამ ვერაგულ ჩანაფიქრს ჩვენი ოპონენტებისგან განსხვავებით აფხაზები მიუხვდნენ. ეს ჩანაფიქრი დაახლოებით იცით, რას ჰგავს? ქუჩის შულერებს, ქუჩაში მოთამაშეები არიფს რომ გამოიჭერენ და რამდენჯერმე მოაგებინებენ იმ მიზნით, რომ საბოლოოდ შეიტყუონ, შეიყვანონ თამაშის ლეგიტიმაციაში, რომ შემდეგ საჭირო დროს დაარტყან. რუსეთი იქცევა ქუჩის შულერივით, მან აფხაზები შეიტყუა ე.წ. ლეგიტიმურ თამაშში და ხაფანგში მოაქცია. ახლა რაზეც არის ატეხილი ამბავი, ეს არ არის პირველი ან ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშეკრულება. ყველაზე მნიშვნელოვანი 2008 წლის 17 სექტემბრის ხელშეკრულებაა. იქიდან დაიწყო ვერაგული თამაში რუსეთმა აფხაზებთან და დღეს უკვე ლეგიტიმაციაში დაარტყა. დააჯერა ისინი ე.წ. დამოუკიდებლობაში. გადაადგმევინა აფხაზებისთვის მოსაწონი “ლეგიტიმური” ნაბიჯები და მისთვის მოსახერხებელ დროს ამავე “ლეგიტიმაციაში” მონიღომა დაეთმოთ მათი დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ანუ რუსეთმა “დაითრია” აფხაზეთი და აფხაზებიც გამოცოცხლდნენ, მათი პროტესტი გახდა საქართველოს სახელმწიფოს დღის წესრიგი. ამიტომ ჩვენ კეთილი უნდა ვინებოთ და თვალეები გავახილოთ, ნუ შევუშლით ხელს აფხაზებს ბრძოლაში. ჩვენ ორ წელიწადში მოვახერხეთ ის, რომ აფხაზები ზურგის მხრიდან აღარ გრძნობენ ვერაგობას, ანუ საქართველოს აღარ აღიქვამენ მტრად. მართალია, არც მოყვრად აღგვიქვამენ, მაგრამ მათგან პრაქტიკულად შეწყდა მტრული განცხადებები.

- აცხადებთ, რომ ეს ხელშეკრულება მნიშვნელოვანი არ არის, თუმცა ფაქტია, რომ რუსეთი საკუთარ გეგმას მიჰყვება.

- რუსეთი თავის გეგმას მიჰყვება. ჩვენ ამ მორიგი ხელშეკრულების დადებისას, რომელიც აფხაზებისთვის ასეთი ვერაგულია, მსოფლიო ჩავრიეთ. აქამდე უკვე 80-მდე ხელშეკრულებაა დადებული და არც ერთ მათგანზე სააკაშვილის ხელისუფლებას განცხადებაც კი არ გაუკეთებია თავის დროზე, არც პრეზიდენტს, არც საგარეო საქმეთა მინისტრს, არც ნატოს, არც გაეროს, ჩვენ კი მსოფლიო ჩავრთეთ. სწორედ ამიტომ ატეხეს ნაციონალებმა ერთი ამბავი, რომ მათ სურთ თავიანთი ცოდვები, თავიანთი სისუსტე დამალონ ამ ხმაურით.

- ამბობთ, რომ თქვენი პოლიტიკა უფრო წარმატებულია, ვიდრე წინა ხელისუფლებისა?

- ცალსახად, სწორედ ამას მიხვდნენ ნაციონალეები და იმიტომ გამწარდნენ. ეს ჩანს კიდევ. აფხაზებს დღეს დაენგრათ პერსპექტივები, მათ არ იციან, რა იქნება ხვალ. ჩვენ ვიცით, რა გვექნება მომავალში – მეტი ინტეგრაცია ევროპისკენ, რუსებმაც იციან რა ექნებათ – ევრაზია თუ რაღაც ამდაგვარი, აფხაზებმა არ იციან, რა ექნებათ ერთი წლის შემდეგ. ახლა აფხაზებს უნდა შევთავაზოთ მათთვის საინტერესო პირობები. დღეს ქართული პოლიტიკა რეალურად ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი ფაქტორია. ქართული მხარის მკაფიო, მშვიდი, პატარ-პატარა, მაგრამ წარმატებული ნაბიჯებით სვლა ევროპისკენ არის

სწორი. აფხაზები ახლა მიხვდნენ, რაშიც მოყვნენ და ყველანაირად ცდილობენ არ ჩაჰყვნენ რუსეთს ამ ვერაგობაში. აფხაზური საზოგადოება არ მოიქცევა ისე, როგორც ყირიმი მოიქცა, რადგან ყირიმში ეთნიკურად რუსები ცხოვრობენ, მათი მენტალობა რუსულია. აფხაზების მენტალობა კი არ არის რუსული. ის კავკასიურია.

- თუმცა დიდი ხანია ისინი ქართველებთანაც აღარ არიან.

- მე ვიტყვოდი ჯერ არ არიან. მათი მენტალობა კავკასიურია. ამიტომ ისინი მიჯნაზე გაჩერდნენ და მათი უკან დასახევი გზა მხოლოდ საქართველოა. ფაქტობრივად, ერთ წელიწადში ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც 7-8 წლის განმავლობაში არ გაკეთებულა საქართველოში: მოვსპეთ მტრის ხატი, ჩვენზე ვერ ლაპარაკობენ ვერაფერს, რადგან კარგის თქმა არ სურთ, ცუდის თქმა კი არ შეუძლიათ. აწმყოში ჩვენ არ დავუტოვეთ არაფერი სალაპარაკო. სადაც კი რუსეთი შეეცადა არეულობის შექმნას, ყველაფერი დალაგებული დავახვედრეთ, არ ავყევით არანაირ პროვოკაციას, არ ავყევით ავანტიურას, მავთულხლართებზე მეტი ვერაფერი გააკეთეს.

- ძალიან ბევრი დაზარალდა მავთულხლართებით.

- დაზარალდა ჩვენი რამდენიმე ათეული მოქალაქეა, მაგრამ ეს არ არის ათასობით დახოცილი ადამიანი, ეს არ არის ასეულობით დევნილი ადამიანი, ეს არ არის დამწვარი სახლები, მიტოვებული კარმიდამო. რა თქმა უნდა, ჩვენ ვხედავთ არსებულ პრობლემებს, ზარალს, მაგრამ შედარებაც არ არის იმასთან, რაც იყო ადრე. ერთი წვეთი სისხლი არ დაგვიღვრია და ერთი დევნილი არ გვყავს, ისე გავიარეთ რთული პერიოდები და ეს მაშინ, როდესაც რუსეთი ყველაზე უფრო აგრესიულია, თუკი ოდესმე ყოფილა საბჭოთა კავშირის შემდეგ. ოპონენტები კი ამბობენ, არაფერი კეთდებაო, მაშინ გვითხრან, რამდენი ადამიანი უნდა მოგვიკვდეს, რომ საქმეში ჩაგვითვალონ?

- მიგაჩნიათ, რომ ნაციონალების ხმაური მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შეცდომების გადაფარვაა?

- “ნაციონალური მოძრაობა” არ მიმაჩნია პრობლემად, მათ ბერკეტები ხელში აღარ აქვთ, ყველანაირი არჩევნები წააგეს, 2016 წელი იქნება მათი დასამარების წელი, რადგან რაც არ უნდა უკმაყოფილო იყოს მოსახლეობა, მაინც ყველას ახსოვს მათი ბოროტება. სწორედ ამიტომ ცდილობენ ისინი სახელმწიფოს დისკრედიტაციას. პროკურატურამ სააკაშვილის წინააღმდეგ გირგვლიანის საქმეზე საკმაოდ სერიოზული ბრალდებები გამოაქვეყნა. სწორედ ამიტომ ნაციონალებს საკუთარი მომავლის ეშინიათ, ოღონდ ეს მომავალი არ დადგეს და ისინი მზად არიან, ამას საქართველო გადააყოლონ. ჩვენ, რა თქმა უნდა, მათ ამის საშუალებას არ მივცემთ. როდესაც ადამიანს გემის გადაყირავება უნდა, თუ ერთ ოთახში გამოამწყვდევ, ვედარაფერს გადააყირავებს. იყვნენ ერთ ოთახში და იბობოქრონ.

- რამდენად პრობლემური გახდება თქვენივე ყოფილი თანაგუნდელის, ირაკლი ალასანიას განცხადება ქვეყნის ორიენტაციასთან დაკავშირებით? მით უფრო, რომ განაცხადეთ, რუსეთთან პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი მთავარი გზა ევროინტეგრაციული პროცესის დაჩქარებააო.

- მე მაინც მგონია, რომ ირაკლი ალასანიამ იჩქარა. ვიტყვი, რომ ალასანია სერიოზული დანაკარგია, თუმცა იმასაც ვიტყვი, რომ ის სერიოზული შენაძენია, როგორც ჯანსაღი, ჯანმრთელი ოპოზიცია. ამით გაძლიერდა ქართული დემოკრატია, რადგან ახლა ჩვენ ვხედავთ, რამხელა განსხვავებაა კონსტრუქციულ და არაკონსტრუქციულ ოპოზიციას შორის.

- ეს გასაგებია, მაგრამ ალასანიას განცხადებები ხელისშემშლელი არ გახდება ევროინტეგრაციის გზაზე?

- არა, ეს ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ გაგვადლიერებს. ალასანია გულწრფელი ევროპელია, ის გულწრფელი დემოკრატია და მას გულწრფელად უნდა ევროპაში წასვლა. ამიტომ მისი განცხადებები მხოლოდ და მხოლოდ გააძლიერებს და დააჩქარებს ჩვენს მოძრაობას დასავლეთისკენ. ამ ორი წლის განმავლობაში მოვიარე ვაშინგტონი, ბრიუსელი, ვენა, სტრასბურგი, ლონდონი – ყველგან ცალსახა მხარდაჭერაა ჩვენი პოლიტიკის მიმართ. მე ვხვდები იმ ხალხს, ვისაც საქართველოს საკითხები უშუალოდ ეხება, საქართველოზე იციან ყველაფერი და აინტერესებთ. არსად არ ყოფილა ისეთი კრიტიკა, რომლის შესახებაც ნაციონალები ყვებიან. ამიტომ მე ნაციონალებთან შეთავაზება მაქვს: წამიყვანონ ბრიუსელში, თუ სადაც იქნება, და შემახვედრონ იმ ადამიანებს, რომლებიც, მათი თქმით, ასე ცუდად უყურებენ საქართველოს. მე ასეთი ადამიანები ვერსად ვნახე, არ ვიცი, რა ბუნაგებში მალავენ ისინი, ან სად პოულობენ მათ.

- ფიქრობთ, რომ ასეთი ადამიანები არ არსებობენ?

- ასე ვფიქრობ ან თავად ნაციონალები ატყუებენ ამ ადამიანებს. მიუხედავად იმისა, რომ ვერ ვიტან “ნაციონალურ მოძრაობას”, მზად ვარ, დავჯდე მათთან ერთად მათ მოკავშირეებთან და ავუხსნა ჩვენი პოლიტიკა. ევროპა ხედავს საქართველოს დემოკრატიზაციას. ყველა ცალსახად და მკაფიოდ ამბობს, თუკი ადამიანი დამნაშავეა, რა თქმა უნდა, ის უნდა დაისაჯოს. უბრალოდ, არავითარი პოლიტიკური კითხვები არ უნდა არსებობდეს.

- ფიქრობთ, რომ არ არსებობს პოლიტიკური კითხვები?

- არ არსებობს. ებადებათ კითხვა, ხომ არ არის ეს პოლიტიკური? როგორც კი ვუხსნით, მაშინვე ხვდებიან რეალობას.

- ანუ ახსნა გჭირდებათ ხოლმე?

- რა თქმა უნდა, ინფორმაციები მიდის, მათ კითხვა ებადებათ, ჩვენ ვუხსნით და მათთვის ეს გასაგები ხდება. პროკურატურამ განცხადება გამოაქვეყნა, მე ვთხოვ, რომ ეს განცხადება ინგლისურად თარგმნონ და პირდაპირ ამ ტექსტს წავაკითხებ ხოლმე უცხოელ კოლეგებს. ადამიანს, რომელსაც მკვლევლობის ორგანიზება და დანაშაულისთვის ხელის დაფარება ედება ბრალად – ეს ძალიან სერიოზული საკითხია. პორტუგალიის ყოფილი პრემიერი გადასახადების არასწორად გადახდის გამო დააპატიმრეს და ჩვენ რომ სააკაშვილის დანაშაულებს ჩავყვეთ, ალბათ, წარმოგიდგენიათ, რა დაგვხვდება იქ. ამიტომ ამაზე საუბარიც არ ღირს.

- განაცხადეთ, რომ რუსეთთან გაყოფის პოლიტიკამ გაამართლა, ანუ შეიძლება, რომ ეკონომიკური ურთიერთობები წინ წავიდეს და პარალელურად პოლიტიკური პროცესები გაიყინოს, ან სულაც რაიმე საპროტესტო ფორმას მიმართოთ?

- ბუნებრივია, ჟენევაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები კიდევ ერთი ორად გაცოცხლდება და დარწმუნებული ვარ, რუსეთ-აფხაზეთს შორის დადებულ ხელშეკრულებას შესაბამისი შეფასება მიეცემა. თუ თქვენ პროტესტში ქუჩაში გამოსვლასა და ერთმანეთისთვის ხელის ჩაკიდებას გულისხმობთ, რა თქმა უნდა, ესეც შეიძლება, მაგრამ ეს უკვე განვლილი თემაა. რამდენჯერ უნდა გააკეთო ერთი და იგივე? ჩვენი წარმატება რუსეთთან ურთიერთობაში არის ის, რომ მოვახერხეთ, ერთმანეთისგან თემები დაგვეშორებინა. თემა, რომელიც გვარდება, ერთია და თემა, რომელიც ვერ გვარდება, მეორეა. ჩვენ ვმუშაობთ იქ, სადაც თემები გვარდება და ეს აუცილებლად მოახდენს გავლენას მოუგვარებელ თემებზე. აფხაზეთი ყოველთვის იქნება ნომერ პირველი პრობლემა. მაგრამ როდესაც აფხაზები დაინახავენ, როგორ მუშაობ შენ შენს რეგიონთან, რამხელა უფლებები აქვს ამ რეგიონს, როგორია დეცენტრალიზაცია, როგორ ხდება ფულის შეგროვება, გადანაწილება საზოგადოებაში – ამან უნდა იმოქმედოს აფხაზებზე. რუსეთს მართალია, ამორალური, მაგრამ თავისი მოქმედების ლოგიკა აქვს. მისი ალგორითმი არის ის, რომ ის მოქმედებს იქ, სადაც საყრდენი ძალა გააჩნია. საქართველოში რუსეთს აღარ ჰყავს ის ხალხი, ვისაც დაეყრდნობა. ასეთი იყო აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და იქ შეგვიქმნა პრობლემები. ვიდრე ჩვენ არ ვაღიარებთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, აქვე ვიტყვი, რომ ეს გამორიცხული და წარმოუდგენელია, მანამდე არის შანსი ამ ხალხის გადარჩენის. თუ ქართველებს გვინდა, ყველაზე დიდი ბოროტება ჩავიდინოთ აფხაზებისა და ოსების წინაშე, უნდა ვაღიაროთ მათი დამოუკიდებლობა. როგორც კი ისინი დამოუკიდებლები გახდებიან, მაშინვე ჩაყლაპავს მათ რუსეთი და აიძულებს მიერთებას. ჩვენი არაღიარება მათი დაცვაა.

- გამორიცხულია, მსგავსი რამ მოხდეს?

- რა თქმა უნდა, გამორიცხულია. ეს უნდა გააკეთოს რომელიმე პოლიტიკურმა პარტიამ, როგორც მინიმუმ, ეს ჩადებული უნდა იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის

პროგრამაში, ამ პროგრამით უნდა გამოდიოდეს არჩევნებზე ეს პარტია, ხალხი ასეთი პროგრამის მქონე პოლიტიკურ პარტიას ხმას უნდა აძლევდეს. გარდა ამისა, კონსტიტუცია იცავს ტერიტორიულ მთლიანობას. ასე რომ, ეს გამორიცხულია. შესაბამისად, აფხაზებისა და ოსების დაჩაგვრა რუსეთის მხრიდან გამორიცხულია, ვიდრე ჩვენ ვართ პრინციპულები.

- მინდა, რკინიგზის თემას შევუხოთ, თქვენ განაცხადეთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაც აწარმოებდა რუსეთთან მოლაპარაკებებს აღნიშნულ საკითხზე.

- ის, რომ შენ ზიხარ მოლაპარაკებების მაგიდასთან და აწარმოებ მოლაპარაკებას, იმას ნიშნავს, რომ შენ ეს თემა გაინტერესებს. თუ არ გაინტერესებს, მაშინ საერთოდ არ მიხვალ მოლაპარაკებაზე. ნაციონალების მხრიდან ამ საკითხზე აპელირება ფარისევლობა და უსინდისობაა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ რკინიგზის თემაზე შეიძლებოდა ლაპარაკი. უბრალოდ, შემდეგ ჩიხში შევიდა საკითხი, არ არსებობს არანაირი რეზოლუცია და პროტოკოლი, რომლითაც მოლაპარაკებები დასრულდა. მოლაპარაკებები დასრულდა იმიტომ, რომ დაიძაბა ორმხრივი ურთიერთობები, ანუ საერთოდ ამოიწურა სამშვიდობო ურთიერთობები.

- თქვენ გულისხმობდით ომამდე არსებულ მოლაპარაკებებს.

- 2006 წლამდე იყო ეს მოლაპარაკებები. კოდორის შემდეგ ამ თემაზე საუბარი აღარ ყოფილა. მაგრამ დღეს ჩვენ ვამბობთ იგივეს, რასაც თავის დროზე ისინი ამბობდნენ. უბრალოდ, ნაციონალებს ამის აღიარების რცხვენიათ. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს თემა მისაღებია, მაგრამ წინასწარვე უნდა იცოდეს რუსეთმა ჩვენი პირობა: ეს შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური პროექტი, სხვა არანაირი. ეს იმდენად პოლიტიზებული თემაა, რომ მეც კი, რომელიც ვხედავ პერსპექტივას, მიმაჩნია, რომ უახლოეს 7-8 წელიწადში არ არსებობს საკითხის რეალიზაცია. რუსეთმა ერთხელ ახსენა რკინიგზა და თქვა, რომ აფხაზებთან ერთად მოახდენს საკითხის ინიცირებას. ამით მორჩა ამ თემაზე საუბარს. პუტინმა ძალიან კარგად იცის, რომ ქართველები ამაზე არ წავლენ, ქართველები არასოდეს დასთანხმდებიან რუსებთან ერთად დაელაპარაკონ აფხაზებს. რუსები ოკუპანტები არიან და მათ დაველაპარაკებით, როგორც ოკუპანტს. აფხაზებს დაველაპარაკებით სხვა თემებზე, მაგალითად, დევნილების დაბრუნებაზე, მათთან რკინიგზაზე საუბარს ჩვენ არ დავიწყებთ.

- რა შემთხვევაში შეიძლება განვაცხადოთ თანხმობა?

- თუ რუსეთი იტყვის, რომ მზად ვართ, დავსხდეთ და ამ საკითხზე დავილაპარაკოთ რუსეთმა და საქართველომ. რადგან რუსეთს სურს, რომ რკინიგზაზე აფხაზებთან ერთად დავილაპარაკოთ, ჩვენ კი ამის წინააღმდეგნი ვართ, სწორედ ამიტომ ყოველგვარი ნერვიულობისა და ზედმეტი დამაბვის გარეშე შეწყდა ამ საკითხზე საუბარი.

- პარტიაზე მინდა გკითხოთ, “რესპუბლიკური პარტია” აღიქმება პროდასავლურ ძალად, თუმცა თქვენს მიმართ ყოველთვის იყო კითხვები და დღესაც არის.

- ჩემ მიმართ აგრესია აქვთ ნაციონალებს და ამას აქვს თავისი მიზეზი. მე კარგად ვიცი, რა გააკეთა სააკაშვილმა აფხაზეთში, ცხინვალში, ყველაფერი დეტალებში ვიცი. ვიცი ყველა ის სიბინძურე, რაც მან ჩაიდინა იქ, როგორ მოიძულა ეს ხალხი. ამიტომ როდესაც სააკაშვილი აფხაზეთზე იწყებს საუბარს, მე ყოველთვის “ათიანებში” ვუსვამ. ამაზე ის გამწარებული. ამიტომ ვერ მიტანენ და ამიტომ მაბრალეებენ ყველაფერ სიბინძურეს. სააკაშვილი კარგად მიცნობს, როდესაც ის იუსტიციის მინისტრი იყო, მე მაშინ სასჯელადსრულების დეპარტამენტში მოადგილე ვიყავი. თუ მე “კაგებეშნიკი” ვარ, მაშინ როცა ამ თანამდებობაზე წასვლა მთხოვა, არ ვიყავი “კაგებეშნიკი”? ამიტომაც ეს ბრალდებები არის ბლეფი. მეცოდება სააკაშვილი, რადგან მან მოისპო მომავალი, არადა ახალგაზრდა კაცია. “რესპუბლიკური პარტია” არის მომავლის პარტია, რადგან ის ჩამოყალიბდა გარეთ, ოპოზიციაში. რესპუბლიკელებმა მოინელეს კომუნისტური რეჟიმი, “მრგვალი მაგიდა”, “ლორძინება”, “მოქალაქეთა კავშირი”, “ნაციონალური მოძრაობა”. ამიტომ ყველამ კარგად იცის, რომ “რესპუბლიკური პარტია” არის ნამდვილი პარტია. ჩერნომირდინს აქვს სწორი ფრაზა: “Какую партию мы не строили – в итоге получаем КПСС”. ხელისუფლების პარტია პარტია არ არის. “რესპუბლიკური პარტია” ძალიან მცირერიცხოვანია, ჩვენი ამომრჩეველი არასოდეს იცვლება, რადგან ეს არის მყარი, მდგრადი პარტია, რომლის სიმდიდრეც არა მოლაპარაკე თავებია, რომლებიც ჩანან, არამედ ლიდერები რეგიონებში. ჩვენ გვყავს ძალიან ძლიერი ლიდერები რეგიონებში, რომლებიც არასოდეს გაყიდულან.

- ბევრი რამ ვიციო და არის ისეთი რამ, რაც შეიძლება მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ახალი საქმედ იქცეს?

- მე, როგორც მინისტრი, ამას ვერ ვიტყვი, რადგან არ იქნებოდა სწორი. პროკურატურა მუშაობს, მე უბრალოდ მეცოდება ეს ადამიანი, რადგან მან ბევრი შანსი გაუშვა ხელიდან. ყოფილი პრეზიდენტი, რომელსაც პრეტენზია აქვს, ხელისუფლებაში დაბრუნდეს, დღეს სჩადის უდიდეს შეცდომას და არ ელაპარაკება მართლმსაჯულებას. ამით ის საზოგადოებას აძლევს მაგალითს, როგორ უნდა დაიკიდო ფეხებზე მართლმსაჯულება.

- თქვენს გადაყენებას ითხოვენ, შეიძლება, რომ თანამდებობა დატოვოთ?

- ეს არ არის არც პირველი და იმედია, არც უკანასკნელი მოთხოვნა ჩემი გადაყენების შესახებ. ეს მე მამლიერებს. ისე კი, ორი წელია ხელისუფლებაში ვარ და მიტინგებს რომ მიტარებ, ერთხელ მაინც მოდი და მკითხე, რატომ ვლაპარაკობ, რატომ ვიქცევი ასე. ჩვენ ოპოზიცია გვყავს, მაგრამ ამ ორი წლის განმავლობაში ერთი წერილი არ შემოსულა და არავის უკითხავს, რა ხდება კონფლიქტებში, არავინ დაინტერესებულა. ყოველდღე

მოდის წერილები კითხვებით, რამდენი გაქვს ხელფასი, რამდენი გაქვს პრემიერა, რომელი მანქანა გემსახურება, რამდენს ხარჯავ მივლინებებში. ღმერთმანი, არაფერი დასამალი არ მაქვს, მაგრამ ნუთუ არ აინტერესებთ, რას ვაკეთებ? არც ერთხელ არ გამოვუძახებია ვერ უმცირესობას პარლამენტში. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. მე, რა თქმა უნდა, არ გადავდგები და არც კი ვიფიქრებ ამაზე. ჩემი გადადგომა-გადმოდგომა პრემიერსა და პარლამენტზეა დამოკიდებული, მიმართონ მათ და ხელფასისთვის ნამდვილად არ მოვსულვარ აქ. სიმართლე გითხრათ, როდესაც სოციოლოგიური კვლევებია და ეკითხებიან ხოლმე, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ თქვენი ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდა თუ გაუარესდაო, მე ჩავწერ გაუარესდას.

- გაუარესდა?

- რა თქმა უნდა. არასამთავრობოებს აქვთ ჩემზე ორჯერ, სამჯერ მეტი ხელფასი. მეც ასე მქონდა. ფიქსირებული ხელფასი, რომელიც ბანკში მერიცხებოდა, მქონდა 7 ათასი, დამატებით ლექციებში ვიღებდი ათას ლარს. ახლა კი მაქვს მოჭრილი 5 ათასი. მართალია, არავის თავს არ ვაცოდებ, უბრალოდ, მინდა ყველამ იცოდეს, რომ ამ სავარძელს არ ვებღაუჭები. თუმცა ვურჩევ ჩემს მოწინააღმდეგეებს, სჯობს, მე ვიყო აქ.

ხათუნა მგალობლიშვილი გაზეთი “პრაიმტაიმი”